

“თბილისის მედიაფორუმი მონინააღმდეგებმა „კრემლის პროპაგანდისტების ფორუმად“ მონათღეს



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თბილისში რუსეთის პრეზიდენტის ფონდის მიერ ორგანიზებული მედიაფორუმის შესახებ განცხადება გააკეთა.

უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ ღონისძიება ჩაფიქრებული იყო როგორც პრაქტიკული რუსულ-ქართული პოლიტიური დღის წესრიგის განსახილველად.

„სამწუხაროდ, ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზების მონინააღმდეგებმა წინასწარ მონათღეს ღონისძიება „კრემლის პროპაგანდისტების ფორუმად“, – განაცხადა ზახაროვამ.

მარია ზახაროვას მტკიცებით, პირადად მან ფორუმის შესახებ მედიიდან შეიტყო.

„ჩვენი აზრით, არანაირ „კრემლის პროპაგანდისტებს“ ამასთან კავშირი არ აქვთ. პირიქით, უნდა მივვსადრმოთ მრავალმხრივი დიპლომატიის, დადაგების ნებისმიერ მცდელობას, როდესაც საუბარია აზრთა გაცვრა-გამოცვრის შესაძლებლობაზე. ეს მოსამრებები შესაძლოა, იყოს განსხვავებული, ზოგისთვის უსიამოვნო, თუმცა ჩართული მიკროფონებით, მაგიდასთან ნებისმიერი საკითხის განხილვაა შესაძლებელი, მით უმეტეს, როდესაც საუბარია ექსპერტ-ჟურნალისტების საზოგადოებაზე.

რა უნდა იყოს ამაში ცუდი – სრულიად გაუგებარია. ცუდია, როდესაც ართმევენ და თიშავენ მიკროფონს, ითხოვენ აკრედიტებული ჟურნალისტების გაძევებას, არ უშვებენ მათ ღონისძიებაზე. საჭიროა, არა ხერხის შეშრა, არამედ, პირიქით, რეგიონის ქვეყნებსა და ერებს შორის კავშირების ჰარმონიზაციის ხერხეწყობა“, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

თბილისში, სასტუმრო „ვერე პარასში“ მედიაფორუმი რუსეთის პრეზიდენტის საგრანტო ფონდის მიერ დაფინანსდა. ფორუმში, სახელწოდებით „მედიის როლი რეგიონში ნდობის აღდგენის საქმეში“ მონაწილეობა მიიღეს ჟურნალისტებმა და ბლოგერებმა რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოდან და სომხეთიდან.

1tv.ge